# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ზუბუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სა3ოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


გაზეთი „ივერია" პირველ მაისიდამ წლის დამლევამდე ღირს 7 მან. 25 კაპ.

ტფილისი, 19 აპრილი

ევროპამ რაც გინდ ძლიერად იღვაწოს კაცობრიობის საბედნიეროდ თავის უკეთესთა შვილთა მეოხებით, რაც გინდ მისთა დაწინაურებულთა და წარჩინებულთა შვილთა საკვირველებანი აღმოაჩინონ ცივილიზაციის და კულტურის წინ საბიჯებლად და წარსამატებლად, მაინც ევროპა ძველი ქვეყანაა, ტანსა და ერთობ აგებულებაში ბევრი რამ ძველი ჩასჭდევია და ამის გამო ძნელად ითვისებს ახალსა ცხოვრებაში განსახორციელებლად.

რამდენი დიდნი ჭეშმარიტებანი და მაღალნი მოძღვრებანი ჰფლადებენ დღეს ევროპაში უდიდესთა მკვლევართა და მოძღვართაგან, მაგრამ ერნი ევროპიისანი ჯერ კიდევ ბრმანი და ყრუნი არიან ერთისაცა და მეორისათვისაც.

რადა? იმიტომ-რომ აქ ახალმა რომ გზა გაიკვლიოს და ადგილი დაიჭიროს ცხოვრების მოედანზედ, ჯერ უნდა ძველი ჩამოიცალოს გზისაგან და მოედანზე ადგილი დააცლევინოს. განდევნა ძველისა და ჩაყენება ახალისა ორკეცი საქმეა, ორ-კეცად, ორ-მხრივად საომარია. ორ-მხრივი, ორკეცი ომი ძნელია და გამარჯვებისათვის ორ-კეცს მხნეობას და ვაჟკაცობას ითხოვს და დიდს დროსაც ჰნდომულობს.

ევროპა ამ მხრით ახო-გამოსაღებელს ადგილსა ჰგავს: ჯერ ძეძვები, ბარდები ძველისანი უნდა ამოიჭრას, მათი ჯირკვები, ფესვები დალპეს და ამოყრილ იქმნას და მერე მოიხნას და დაითესოს დასათესითა, ამას კარგა ხნით გამუდმებული ჯაფა უნდა და ამიტომაც აუარებელი დრო გადის ხოლმე ჭეშმარიტების აღმოჩენიდამ და მოძღვრების მოვლენიდამ მათთა განხორციელებამდე.

აბა რამდენი ხანია მას აქედ, რაც კაცობრიობის საბედნიეროდ ადამიანის გულ-შემატკივართა კაცთა უმოძღვრეს ქვეყნიერობას, რომ კაცი კაცისათვის მჭამელი მგელი არ უნდა იყოსო; რომ ომი, სისხლის ღვრა და ერთმანერთის ქლეტა სამარცხვინო რამ არის იმ სულიერისათვის, რომელიც ღვთის სახით და მგზავსებით მოვლენილია ქვეყანაზედაო; რომ ერთმანერთის ქლეტა მარტო პირუტყვს, მხეცსა და ნადირს ეპატივება და არა პირ-მეტყველს ადამიანს, რომელსაც მიმადლებული აქვს უტკბილესი და უმაღლესი ღვთაებური ნიჭი სიყვარულისა, სიბრალულისა და სიმართლისაო. რა არის ქვეყანაზედ იმისთანა, რომ სიყვარულმა, სიბრალულმა, სიმართლემ არა სძლიოს და გულნატკენობა არ გაამრთელოსო? თუ ცალკე კაცნი ერთმანერთს უსისხლოდ ჰშველდებიან, როცა სადავო რამ, ან შუღლი, ანუ მტრობა ჩამოუვარდებათ, რატომ სახელმწიფონი-კი ვერ მოჰშველდებიან ერთმანერთში უსისხლოდვეო? განა კაცი მაშინ სხვაა, როცა ცალკეა და მაშინ სხვა, როცა თავის მგზავსთა კრებულშიაო?

ამის მქადაგებელთა დიდი ხანია იწამეს, რომ შესაძლოა ყოველგვარი მიზეზიანი საქმე, რომელიც ეხლა სათავეა ხოლმე ომებისა სახელმწიფოთა შორის, იმავე გზით გაიწმინდოს და დასრულდეს, რა გზითაც ჰთავდება ხოლმე ცალკე კაცთა შორის. მოძღვართა, მქადაგებელთა და უკეთესთა კაცთა იწამეს ეს შესაძლისობა და არ იწამა ევროპიის ერმა, თუმცა არა ერთი და ორი მაგალითი ჰქონია თვალ-წინ, ამ შესაძლისობის დასამოწმებელი. ესეთია ძველი ევროპა, რომელსაც ძველის-ძველთაგან დასჩემებია ერთმანერთის სრვა და ქლეტა, როცა სახელმწიფოთა შორის რაიმე მიზეზიანი საქმე აჩნდება და რა საკვირველია, რომ შეჩვეულს ჭირსა ჰრჩეობს, ვიდრე შეუჩვეველს ლხინსა.

სულ სხვაა ჩრდილო-ამერიკის შტატები: იქ ახალს წინ არ შეეჯახება ხოლმე ძველი, იმიტომრომ თვითონ ახალი სახელმწიფოა, ახალი ერია, იმისი ისტორია სულ ასის წლის საქმე არ არის და აგებულებაში არა აქვს გაბნეული ეგალი და ხიჭი ძველის ცხოვრების ძეძვებისა და ბარდებისა. იქ გუშინი არ არის. იქ მარტო დღევანდელი დღეა და ხვალინდელი და ამიტომ რაც დღეს მოაქვს სადღეისოდ, თუ სახვალიოდ, ის ანგარიშს არ უწევს გუშინდელსა, რომელსაც უხანობით ძნელად ამოსაყრელი ჯირკვი და ფესვი ჯერ არ გაუკეთებია.

ეს არის მიზეზი, რომ ზემოხსენებული მოძღვრება, ევროპაში დაბადებული და გაჩენილი, ამერიკაში გაუძნელებლად გაიზარდა იმოდენად, რომ დღეს ცხოვრებაში თავის სამკვიდრო და სამოქმედო ადგილს ჰთხოულობს. გაზეთები გვაუწყებენ, რომ ამ უკანასკნელს ხანებში შეერთებულ შტატების სენატში ერთს მის წევრს სარჩიელი შეუტანია იმის თაობაზედ, რომ დაწესებულ იქმნას მედიატორეთა სამუდამო სასამართლო, რომელმაც უნდა გაასამართლოს და მოარიგოს ერთმანერთში შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი, თუ ვინიცობაა ამ სახელმწიფოთა შორის რაიმე ჩხუბი და განხეთქილება ასტყდა. ეს სარჩიელი ავალებს პრეზიდენტს შტატებისას გამოელაპარაკოს ამ საგანზედ საფრანგეთსა და ინგლისსა და სახარჯოდ ამისა დანიშნულ იქმნას 80,000 დოლარი. თუ ეს მოხერხდა, შეერთებულს შტატებს ინგლისთან და საფრანგეთთან თავის დღეში ომი არ აუტყდება.

1889 წელს დიდი დღესასწაულობა უნდა გაიმართოს ამერიკის შტატებში, იმის გამო, რომ ამ წელს ესრულდება შტატებს ასი წელიწადი მას აქედ, რაც ინგლისისაგან თავი დაიხსნეს და ჩრდილო-ამერიკა თავისუფალ სახელმწიფოდ შეიქმნა. რადგანაც ამ დღესასწაულობის გამო ვაშინგტონში თავს მოიყრიან დელეგაციები მთელის ამერიკის რესპუბლიკებისა, ამიტომაც ემზადებიან, რომ ზემოხსენებული სარჩიელი მაშინ განხორციელდეს და მედიატორეთა სამართალი დაწესდესო.

საფრანგეთის გაზეთი «Temps»-ი ამბობს, რომ მედიატორეთა სასამართლო ადვილად დასაწესებელია და მოსახერხებელი ამერიკის შტატებისათვის ერთის მხრით და მეორეს მხრით ინგლისისა და საფრანგეთისათვისა, ხოლო მარტო იმ საქმეთა გამო, რომელიც შესახებელი იქმნება ამერიკისაო. ევროპაში-კი შეუძლებელია ეს მოხერხდესო, რადგანაც ევროპა ჯერ უმიწა-წყლოობით შეხუთულია ასე, რომ ძლივს იტევს ხალხსა და გაწევ-გამოწევაში—რა თქმა უნდა—ერთმანერთის ზიანს არ მოერიდებიან, და მერმე ერთმანერთის მტრობა და ჯაბრი, ძველის-ძველიდგან ნაანდერძევი

---

# ფელეტონი

## 20 აპრილი 1770 წლისა

ანუ

საკვირველი ომი ასპინძისა.

(ისტორიული წერილი)

### I

28 ნოემბერს 1768 წელს რუსეთის მთავრობამ გამოსცა მანიფესტი და ოსმალოს ომი გამოუცხადა. ამასთანავე რუსეთს ძალიან უნდოდა, რომ თვით საქართველოშიაც ჰყოლოდა ჯარი ოსმალებთან საომრად. სწორედ ამ დროს ტფილისში მყოფი რუსეთის ელჩი საიდუმლოდ სწერდა ასტრახანის გუბერნატორს: «საქართველოს მეფე ირაკლი მეორე დიდადა სცდილობს, რომ რუსეთმა ამ ომში საქმე მოიგოს, რადგან თვით მეფე ჰხედავს ოსმალთა დამარცხებაში საკუთარს სარგებლობასაც. იგი დიდად მხურვალე მონაწილეობას იღებს ყოველ ნაირ საქმეში ოსმალთ წინააღმდეგ». ეს აზრი რუსეთის ელჩისა წესისამებრ იყო წარდგენილი «უცხო საქმეთა კოლლეგიაში». მთავრობამ ეს აზრი კარგა საფუძლიანად განიხილა და გადასწყვიტა, რომ უეჭველად გაეგზავნა როგორმე რუსეთის ჯარი საქართველოში. შემდეგ, 1769 წელს, იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა სთხოვა რუსეთსა შემწეობა მხედრობითა. ამ გარემოებათა ძალით რუსეთის მთავრობამ გასცა ბძანება, რომ საქართველოში იქმნას გაგზავნილი 6,000 ჯარის-კაცი გენერალ-მაიორ ტოტლებენის წინამძღოლობით. მეფე ირაკლი მიეგება რუსეთის ჯარსა კავკავის გზაზედ, სოფელ კობში. აქ, როგორც მოითხოვდა რიგი, ირაკლიმ და ტოტლებენმა დასდვეს პირ-შეკრულება, რომ ერთად ემოქმედნათ ოსმალლეკთა წინააღმდეგ. საასპარეზო მოედნად ახალციხის მაზრა იყო ამორჩეული.

სხვათა შორის ირაკლის დაჰპირდა ხუთი ათას ჯარის-კაცსა იმერეთის მეფე სოლომონ I. ამის გამო ირაკლი მეფეს წინადვე ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ დიდი გამარჯვება დამრჩება და ოსმალ-ლეკნი დამარცხდებიანო. მაგრამ,—დახეთ ირაკლის ბედსა!—სოლომონ I სრულიად არ მოეიდა მტერთან საბრძოლველად და თავის სიტყვას გადუდგა; გენერალი ტოტლებენი აწყურთან ბრძოლის გათავების უმალ საჩქაროდ იმერეთისაკენ გაემგზავრა.

მამულის სიყვარულით გატაცებულმა ირაკლიმ, რომელსაც თვალ-წინ წარმოუდგა საშინელი განსაცდელი ქვეყნისა, ვინიცობაა მტერი გაიმარჯვებდა, დაივიწყა თავისი თავი და ფიცხლავ წამოდგა ფეხზედა ვეფხვის სიმარდით შეაფრინდა თავის მარდს ცხენსა. მაშინვე ქართველთ ჯარს მიჰმართა და შემდეგი სიტყვები უთხრა:—ქართველებო, ჩემო განუყრელნო ძმანო ყოველ განსაცდელში! ეს იცოდეთ, რომ ჩვენი უკან დაბრუნება არ იქნება, ამიტომ რომ, თუ რუსების ჯარს ოსმალო მოეწია, დიდს ვნებას მისცემს და მასუკან გაქეზებულნი ოსმალ-ლეკნი საქართველოს გაგვიოხრებენ; უმჯობესია ამისათვის ჩვენ აქ გავწყდეთ. ეხლა ამის შემდეგ თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ, ქართველებო!

მეფე ირაკლიმ გამარჯვების იმედი მხოლოდ თავის საკუთარ მშვენიერ ცხენოსან ჯარზე-ღა დაამყარა.

### II

პირველად, სხვა-და-სხვა სამხედრო მოსაზრების გამო, მეფემ უბრძანა ჯარს უკან დაბრუნებულიყო: ქართველი ჯარი სოფელ აწყურიდამ წამოვიდა და თორმეტის ვერსის მანძილი გამოიარა. ამით წაქეზებული მტერი უკან გამოედევნა ირაკლის ჯარსა. მოხდა ბრძოლა და ამ ბრძოლაში მხოლოდ ქართველთა ჯარის ავანგარდმა ანუ მოწინავე რაზმებმა მიიღეს დიდი მონაწილეობა. მალე განაბნიეს ქართველებმა ოსმალ-ლეკნი. საომარ ადგილას ხუთასი მკვდარი დარჩა ოსმალ-ლეკებისა. ამის შემდეგ ირაკლი გამარჯვებული მიუახლოვდა ახალქალაქსა და მერე ხერთვისსა. გაიგეს თუ არა ახალციხეში რომ ირაკლი—ეს ლომი «მცირე აზიისა»—ახლოს არისო, მაშინვე ნიამან-ფაშამ საჩქაროდ გამოჰგზავნა ერთი დიდი ლაშქარი კიდევ ირაკლის საწინააღმდეგოდ. ახალქალაქის და ხერთვისის დამცველმა ჯარებმა ვერ გაუწიეს ირაკლის დიდი წინააღმდეგობა. ამ ჯარს მოელოდა საშინელი დამარცხება ირაკლისაგან, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოჩნდა ახალციხიდამ გამოგზავნილი ჯარი. ირაკლი მეფემ სისწრაფით შეაგროვა თავისი მხედრობა და გაჰყო სამ ნაწილად: 1) მარცხენა ფრთა ჩააბარა თავის უფროსს შვილს გიორგი ბატონიშვილსა; 2) მარჯვენა-კი თავის სიძეს დავით ორბელიანს და ზაალსა; 3) თვით მეფე ირაკლიმ დაიჭირა შუა გული ამ ორ ფრთათა შორის.

პირველ დღეს ომი არ მოხდა. რადგან მტერს დიდი ჯარი ჰყავდა საბრძოლველად და იმედიცა ჰქონდა, რომ გაჭირების დროს კიდევაც მოემატებოდა, ამიტომ ირაკლიმ ხერხი იხმარა, რათა ამ ხერხით მტერს სხვა ჯარი არ მოჰმატებოდა კიდევ. ბინდის დროს, მეფის ბრძანებით, გაჰგზავნეს უკეთესი ჯარის-კაცნი: ერისთვიშვილი ალაბაბა, სვიმონ მუხრანბატონიშვილი ნასალჩიბაში და ხუდია ბორჩალოელი, «ჩინებული და მამაცი ყოველსა საქართველოსა შინა», რომელთაც აჰყარეს ასპინძის ანუ დოსთენის ხიდის ისრები...

მალე დაღამდა კიდეც. ორთავ ჯარის ბანაკებში საშინელი, არა-ჩვეულებრივი ფაცა-ფუცია, ჰაერში თითქო საზარელი სისხლის სული დატრიალდა. ყველას დალესილ და ლაპლაპა ხმლების ბრიალი უდგა თვალ-წინ, თოფ-დამბაჩის განუწყვეტელი ჭექა-ქუხილი ყურს უჭედავს; ჭრილობანი და სასიკვდინე იარა-წყლულნი ელანდება; გული შფოთავს, სული სწუხს; ყიჟინი, ღრიალი, გულ-საკლავი კვნესა და გმინვა ერთმანეთში ირევა. ყოველივე ეს მოსვენებას არ აძლევს არც ერთს მხედარს, ლანდსა და მოჩვენებასავით ძალა-უნებურად თვალ-წინ უდგა გაშმაგებულს მხედარს, გამოცდილს თუ გამოუცდელსა. პირის-პირ შეყრილნი მტერნი ჰგრძნობენ ხვალინდელის დღის სიმძიმეს, უნებურად ელიან ზარ-დამცემს განსაცდელსა. გულით ძგერით და დიდის ალმოფრთოვანებით ელოდება ჩვენი ჯა-

და ძვალ-რბილში გაბნეული, ისე ძლიერია, რომ ევროპა მაგ სამშვიდობო დაწესებულებას ვერ მოიხდენსო.

ჩვენც მაგას ვამბობთ და სხვას არაფერს. ეგ ძულება, მტრობა და ჯაბრი ევროპიის ერთა შორის რა არის, თუ არ ჟანგი ძველის ცხოვრებისა? სწორედ ეგ ჟანგია მიზეზი, რომ იმ კაცთ-მოყვარულს და ყოვლად პატიოსანს მოძღვრებას არ იკარებს დღევანდელი ევროპა მაშინ, როდესაც ერი ახალი, ახალი ქვეყანა, ძველთა ჩვეულებათა და ანდერძთაგან დამოუკიდებელი და დაუჩაგვრელი, ხელ-გაშლით და გულ-გაშლით ითვისებს კაცთა საბედნიეროდ.

თუ ღმერთმა ჰქმნა და კაცობრიობის სასახელოდ ამერიკამ ამ მხრით თვისი საწადელი აისრულა, ეს დიდი მაგალითი იქმნება ევროპიისათვისაც. მაშინ ევროპა თვალით მაინც დაინახავს იმას, რასაც ძველისაგან ჟანგ-მოკიდებული გონება და გული ვერა ჰხედავდა.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ გამომძიებლად ნამყოფი ხოსროევი, რომელსაც ჰბრალდება საკუთარის ქონების განძრახ დაწვა, სასამართლოს პალატამ დროებით განათავისუფლა განსამართლებამდე. ხოსროევმა წინადაც რამდენჯერმე მიჰმართა სასამართლოს და სთხოვა განთავისუფლება, მაგრამ სასამართლომ არ შეიწყნარა იმისი სათხოვარი. ამ გზობით-კი სასამართლო პალატამ განიხილა, შეიწყნარა ბრალდებულის თხოვნა და განათავისუფლა იგი თხუთმეტის ათასის მანეთის წარდგენის შემდეგ, რომელიც ხაზინაში შეიტანა ბრალდებულის დამა.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი: „ქართული მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნეში“, ბ-ნ ზ. ჭიჭინაძისა. წიგნი შეიცავს საბიოგრაფიო და საბიბლიოგრაფიო ცნობებს მეჩვიდმეტე საუკუნის მწერალთა და მწერლების შესახებ. ავტორი აცხადებს, რომ ამ წიგნაკით ვათავებ ძველის მწერლობის ისტორიასაო. წიგნი საკმაოდ ლამაზად არის დაბეჭდილი და ღირს ერთი აბაზი.

*** წინადაც ყოფილა მოხსენებული ჩვენს გაზეთში, რომ ტფილისის ბაზრებსა და დუქნებში ძალიან გავრცელებულია ყალბის საწონის ქვების ხმარებაო, და ეხლაც შემოგვჩივიან, რომ ეს სენი თან-და-თან ძლიერდება, თუმცა ქალაქმა და პოლიციამ დიდი ხანია, რაც ყურადღება ათხოვესო. სჩანს, პოლიციის პროტოკოლები და კანონის მუქარა ვერას გახდა ვაჭრების სითამამესთან.

*** სოფ. ბარეული (ქვემო რაჭა): წინად რაჭის ხალხი სიმშვიდისა და შრომის მაგალითის მაჩვენებელი იყო სხვებისათვის და ეხლა-კი რაღაც ღმერთი გაუწყრა რაჭველებს; ამათ შორის ისეთებს შეხვდებით, რომ მგონი სალეკოშიაც ვერ იპოვოთ იმათი მზგავსი. გარდა სხვა ავაზაკობისა რაჭაში ძლიერ გახშირდა, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში, მტრობით, ქურდულად გადაწვა. აი მაგალითებიც: ამ ორის წლის წინად სოფ. ღვარდიაში დაუწვეს ჭირნახულით სავსე ბეღელი დეკანოზს მ. ი. ვაწაძეს. ამ ორის წლის წინადვე სოფელ ტბეთს მცხოვრებს გლეხს ევნაძეს გადუწვეს ას თუმნად ღირებული მარანი. ერთის წლის წინად დაუწვეს მარანი სოფ. ბარეულში მღვდელს ოქ. დვალს. დაუწვეს წისქვილი ბარეულშივე თავად მ. ყ. წულუკიძეს. გაიარა მთელმა ნახევარმა წელიწადმა ამ წისქვილის დაწვიდამ და წარსულის 1887 წლის ნოემბრის დამდეგში ხსენებულს წულუკიძეს დაუწვეს ერთი საზაფხულო სასახლე: ერთი ოდა, საჯალაბო სახლი და ერთი ბეღელი, ასე რომ ასის თუმნის ზარალი მისცეს. როდესაც ამისთანა თავზარ-დამცემის ამბებისაგან აღშფოთებულმა და შეწუხებულმა ადგილობრივმა მღვდელმა, გ. ი. ფოფხაძემ, ეკკლესიაში ხალხს უქადაგა, რომ ქვეყნის აოხრება შეუწყნარებელი ცოდვააო, ამის შემდეგ ვიღაცა ავაზაკი წავიდა და იმავე ღამეს იმ მღვდლის საბძელს შუაღამეზე წაუკიდა ცეცხლი. კიდევ კარგი, რომ ცეცხლის წაკიდების დროს მამა გიორგის არ ეძინა და სარკმელში ცეცხლის ალს შეენათებიან. ამ ამბით შეძრწუნებული მამა გიორგი გამოვარდნილიყო გარეთ და დაეწყო ყვირილი: «არიქა, მიშველეთ, დამწვესო!» მეზობლებიც, რასაკვირველია, მაშინათვე მიშველებოდნენ და ფიცხლავ ჩაექროთ ცეცხლი, ასე რომ მამა გიორგის თითქმის არავითარიმე ზარალი არ უნახავს. ნოემბრის თთვიდამ დაწყებული ახლო-მახლო სოფლები ერთ უბედურებასა და დავიდარაბაში იმყოფებოდნენ ამ ავაზაკების შიშით. ღამ-ღამობით თვალზე ძილი არავის მოსდიოდა, ისე უყარაულებდნენ სახლებს, რომ არავინ გადაგვიწვასო. ადგილობრივმა მთავრობამ ყურადღება ათხოვა ამ გარემოებას და ბოროტ-მოქმედის გამოჩენაც მოინდომა, მაგრამ დღემდის ვერას გახდა.

*** გაზეთ «მწყემსს» შეუტყვია, რომ მარტვილის საზოგადოებას, რომელიც მოწადინებულია ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელი ახალ-სენაკიდგან ისევ მარტვილში გადმოატანინოს, უკვე წარუდგენია უწმინდეს სინოდისათვის ათი ათასი მანეთი ზემოდ აღნიშნულის სასწავლებლის სასარგებლოდ, თუ ეს სასწავლებელი მარტვილში იქნება გადატანილი.

*** იმავე გაზეთს ატყობინებენ აფხაზეთიდგან, რომ იქ ამ ბოლოს დროს ძალიან გავრცელებულა ეკკლესიების ცარცვა-გლეჯა. ქურდებს ეკკლესიებიდგან ხშირად გააქვთ თურმე ხატები და წმინდა ოდიკები.

*** ქუთაისში, როგორც იგივე გაზეთი გვატყობინებს, იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელს განზრახვა აქვს გაჰმართოს წმინდა სანთლის ქარხანა, რადგანაც მექარხნეები წმინდა სანთელში ურევენ სხვა-და-სხვა მავნე ნივთიერებასა. ამ საგანს განიხილავს იმერეთის ეპარქიის სამღვდელოება, რომელიც შეიკრიბება 24-ს მაისს. კრებას აგრეთვე სჯა ექნება პარალელურის კლასების გამართვის შესახებ ტფილისის სასულიერო სემინარიაში.

## ქალაქის საბჭო

18 მარტი

სხვა საგანთა შორის დიდი კამათობა გამოიწვია ბ-ნ ივანენკოს წინადადებამ იმის შესახებ, რომ ქალაქის ვალი ინტენდანტსტვოს მიმართ შეტანილ იქმნას ყოველ წლიურ ხარჯთ-აღრიცხვაშიო.

ივანენკო. მესამოცე წლებში ქალაქმა აიღო ვალი 50 ათასი მანათი ინტენდანტსტვოდამ. ამ ვალს არ ვიხდით ჩვენის ნებით, რის გამოც ინტენდანტსტვომ შემდეგს ღონის-ძიებას მიჰმართა: ამ დაწესებულებამ უნდა აძლიოს ქალაქს დასაფასებელი გადასახადი ყოველ წელს, და აი ეს გადასახადი აღარ შემოაქვს ინტენდანტსტვოს, ვებრის ვალში. ეს ფრიად სამარცხვინოა ჩვენთვის. ეს იმასა ჰგავს, თითქო ჩვენ ვიყვნეთ უიმედო მოვალენი, რომელნიც ვალის გადახდას მიურბიან. დღეს რომ პირ-ნათლად გამოვიდეთ ამ ყოფიდამ, უნდა შევურიგდეთ ამ სამარცხვინო დამცირებას და ხარჯთ-აღრიცხვაში მოვიხსენიოთ ხოლმე, რომ ამდენსა-და-ამდენს ინტენდანტსტვო გვიჭერს და ვალში იბრისო. ხარჯთ-აღრიცხვაში იმიტომ უნდა შევიტანოთ ეგ ფული, რომ ვალს თუ ნებით არა, ძალაუნებურად მაინც ვიხდით, მაშასადამე, ეგ ფული, წელიწადში ექვსას თუმნამდე, ჩვენი ხარჯია, ჩვენს შემოსავალს აკლდება. გამგეობას აქამდე განძრახ არ შეჰქონდა ეგ ფული ხარჯთ-აღრიცხვაში, რათა ჩვენთვის თვალები აება და ეთქვა — დეფიციტი ცოტა აქვს ქალაქსაო. მაგას ძალიან ცუდი შედეგი ჰქონდა ჩვენს მოქმედებაზე, გვეგონა, რომ ჯერ კიდევ საქმე მაგდენად არ გაგვჭირებიაო, და ვინ იცის, რას არ ვაწყდებოდით, რას არ შევეჭიდებოდით ხოლმე, რაკი ზურგი მაგარი გვეგონა. თურმე ნუ იტყვით, წელიწადში ექვსასი თუმანი კიდევ მეტი დეფიციტი გვქონია. საბჭომ უნდა ნათლად იცოდეს თავისი შემოსავალ-გასავალი, რომ იმისდა კვალობაზე დაიჭიროს საქმე. ამიტომ დავადგინოთ, რომ ფული, რომელსაც ინტენდანტსტვო ძალით გვიჭერს, ვალის გადაწყვეტას უნდება.

პაპოვი, წევრი გამგეობისა. მარტო საქმის უცოდინარობა დაებიდება მაგისთანა საანბანო მოსაზრებას. თუ-კი ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანა მაგ ფულისა გზა-მაჩვენებლად გაგვიხდებოდა ჩვენს მოქმედებაში და არც ისე შეარცხვენდა ქალაქსა, როგორც შერცხვენილად ეჩვენება ბ-ნს ივანენკოს, დარწმუნებული იყავით, რომ გამგეობა თავისითაც წაატანდა ხელს მაგ ადვილს ღონის-ძიებასა. მაგრამ

---

რიცა... განთიადს... აგერ ირაჟრაჟა კიდეც. ქვეყნის მანათობელმა ლამპარმა გაანათა არე-მარე. იმისმა დიდებულმა და განმაცოცხლებელმა სხივებმა ჩაუდგეს სული დროებით მიძინებულს ბუნებას; გამხიარულდა მიდამო; გადახალისდნენ ჩვენი, წინა-ღამის სიზმრებით აღელვებული და დატანჯული ქართველებიც, როდესაც დაინახეს თავიანთი მხედართმთავარი მეფე ირაკლი, ეს მართლაც რომ ერთი რამ «საკვირველება», საომრად გამოსული. გათენდა ის დღე დიდებისა, რომელიც მეფე ირაკლის მიაჩნდა «სიკვდილის ლხინად».

— კარგად გაარჩიეთ, ერთი დაინახეთ, უშიშარნო ქართველნო, რა სიკვდილის ლხინი არის დღესაო! სთქვა თურმე ირაკლიმ ამ სამაგალითო ომის დროს, როცა ერთხანად მოზღვავდა სიმრავლე მტრისა და შედრკა მხედრობა ირაკლისა.

მოშუადღევდა და ბრძოლა ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო: მტერნი ათვალიერებდნენ, შორიდამ ჰზომავდნენ ერთმანერთის ძალ-ღონეს, ტოკავდნენ... მაგრამ საკმაო იყო ერთი მცირედი გარემოება, რომ ასპინძის ომი გაჩაღებულიყო. ქართველთა ავანგარდის, ანუ მოწინავე რაზმების ერთი ნაწილი წავიდა სურსათის საშოვნელად გარშემო სოფლებში. აი სწორედ ეს ჩაფაულის კაცნი დაამარცხეს ჩასაფრებულმა ოსმალ-ლეკებმა და მიჰყვნენ «ხოცითა მეფედმდე». ამის მხილველნი მეფის ჯარისკაცნი შეიძრნენ და მიეტივნენ ოსმალ-ლეკებსა.

სწორედ ამ 118 წლის წინად, 20 აპრილს, პირველს საათზე, ორთავ ჯარის მხრივ მოისმოდა თოფების ჭექა-ქუხილი და თან-და-თან შეხურდა, შენივთდა ბრძოლა, რომელმაც გასტანა სამი საათი. ქართველების ჯარი ირაკლის წინამძღოლობით მედგრად დახვდა მტერსა და უმეტეს «სახელოვნად გაისარჯნენ შვილნი ხევსურნი», რომელნიც სულ ირაკლი მეფეს ერტყნენ გარსა. ბევრი ხოცეს და სჭრეს ქართველებმა ოსმალ-ლეკნი, მაგრამ ირაკლის ძლევა-მოსილს ჯარში ბევრი დასტა იყო ისეთი, რომელთაც ჯერ არ მიეღოთ ომში მონაწილეობა. მტრის ახალის დასტების შემოტევამ დიდად შეარყია ირაკლი მეფის შუა-გული ჯარი. უცებ შეჩერდა მეფე... გაიგო თუ არა საშიში ყოფა და განსაცდელი ირაკლისა და იმის ჯარისა, მარჯვენა ფრთამ ერთობ ძლიერად წინ წამოიწია დავით ორბელიანის წინამძღოლობით და მეფეს ამ გვარად ერთი მხარი კარგად გაუმაგრა. მხოლოდ მარცხენა ფრთამ ძალიან დაიგვიანა. საჩქაროდ გაჰგზავნა მეფემ ანტონ აქიმბაში ბატონიშვილ გიორგისთან და უბრძანა, რომ ჯარი წინ წამოეყვანათ შუა-გულის კორპუსის მოსაშველებლად. გიორგი ბატონიშვილმა თავის ჯარით, რომელშიაც 900 კაცი იყო, გაამაგრა ერთი მაღლობი ადგილი.

### III

აქ დროებით თავი დავანებოთ ირაკლის მხედრობას და გავყვეთ ანტონა აქიმბაშსა. ვნახოთ, რა პასუხი უთხრა გიორგი ბატონიშვილმა ექიმბაშსა. აი როგორ მოგვითხრობს ამ ამბავს თვით მნახველი და დამსწრე, ელიზბარ ფალავანდიშვილი: მეფის ბრძანების უმალ ანტონა აქიმბაშმა საჩქაროდ გასწია გიორგისაკენ და მოახსენა:

— ბატონიშვილო, — აღელვებულის ხმით ეუბნებოდა ანტონა აქიმბაში გიორგისა: — მეფე გთხოვს საჩქაროდ მოშველებას თქვენის ჯარით... თქვენს მზეს ვფიცავ, მამა თქვენი მეფე და იქ მყოფი ქართველობა ძალიან დიდს გაჭირებაში იმყოფებიან.

— ანტონა აქიმბაშო, — უპასუხა გიორგიმ: — დიმიჯერე, შენც აქ იყავ ჩემთან. თუ ვინიცობაა ისინი დაბრუნონ, მას უკან ჩვენს ჯარს ჩვენ დავიჭერთო.

ამ დროს მოისმა აქეთ-იქიდგან ხმა... გიორგის ზოგიერთმა სარდლებმა ანტონას ამ სიტყვებით მიჰმართეს: აქიმბაშო, ვაიგონე, ბატონიშვილი გიბრძანებს, უნდა დაუჯერო. ანტონამ ამათ არა უპასუხა-რა და ხელმეორედ მოახსენა გიორგის:

— შენი ჭირიმე, ბატონიშვილო, რას მიბრძანებთ? მეფე ირაკლი იქ რომ დაამარცხონ, აქ თქვენ თავს როგორღა დაიჭერთ, მტერი სულ ფეხ-ქვეშ გაგქნისთ და ბოლო დროს სულ ერთიან საქართველოსაც გააოხრებენ... ჩქარა წამობრძანდით, შენი ჭირიმე.

— ანტონა აქიმბაშო, გირჩევ, შენც აქ, ჩემთან დარჩე. მაშინ მივეშველნოთ, თუ რომ ჩვენი ჯარი დაგვიბრუნონ. ასე ანუგეშებდა გიორგი აღშფოთებულ აქიმბაშსა. სხვებმაც ეს ბატონიშვილის რჩევა ხელ-მეორედ განიმეორეს, მაგრამ ანტონამ არავის ყური არ ათხოვა.

— თქვენს მზეს ვფიცავ, არ დავრჩები აქა... ღმერთი გადღეგრძელებს, წამობრძანდით.

— ანტონა აქიმბაშო, დამიჯერე...

— ჩემო ბატონიშვილო, ვერა, ვერ დაგიჯერებ... წავალ სწრაფლ ისევ ჩემს მეფესთან და ჩემს ქართველებთან ერთად სისხლს დავაქცევ სამშობლო მამულისათვის! — სთქვა რა ეს უკანასკნელი სიტყვა, აქიმბაშმა ლონივრად ჰკრა ცხენს ქუსლი და ელვის სისწრაფით მეფესთან მიიჭრა... ამავე დროს მეფე ირაკლი და მამაცი სარდალი დავით ორბელიანი ქართველებს ამხნევებდნენ და აქეზებდნენ მამა-პაპათა ვაჟკაცობის მოგონებითა.

### IV

ქართველთა ჯარი, დიდად აღტაცებული მამა-პაპათა ვაჟკაცების გახსენებითა, იბრძოდა თავ-დაუზოგველად... ვიდრე ანტონა აქიმბაში დაბრუნდებოდა და გიორგის პასუხს მოიტანდა, ირაკლი მეფემ თავის ჯარის წინაშე წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა და ასე გაამხნევა თავისი მხედარნი:

გულოვანნო, მხნენო ქართველნო, ჩემო განუყრელნო ყოველ საშინელებაში, ჩემო გულის ძმანო! ეს ამისთანა გაჭირებული ომი ჩვენ თავზედ პირველი არ არის. კარგად გაარჩიეთ, დაინახეთ, რა სიკვდილის ლხინი არის დღეს! ვიომოთ სიკვდილამდის, ასე სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა არ დაინახოს: ეს ჯაბანთა წესი არის... თქენ წინ გადაწყვეტით აღვიარებ. რომ დღეს უნდა გამოვესალმნეთ ჩვენს თავსა, აქ უნდა გავწყდეთ... ჩვენს ცოლ-შვილში, სირცხვილია, დამარცხებულნი მივიდეთ. მერე რა პირს დაგვინახვენ ის ჩვენი კარგი დედაკაცნი? — შავსა, დამარცხებულ პირსა და თან გვეტყვიან: აი თქვე ჯაბნებო, წადით, დაიკარგენით ჩვენგანაო... აბა, ჩემო გულის ძმებო, მინამ იმათ წინ ამ სირცხვილით წარვსდგებოდეთ, გვიჯობს მამულისათვის ჩვენს წმინდა სიკვდილზე, ჩვენს დაქცეულს სისხლზედ თმები ვაწეწინოთ... გავწყდეთ, ქართველებო, მეც აქ თქვენში ვიმყოფები, ერეკლე!

ამ გრძნობით სავსე სიტყვებმა გაიტაცა ჯარი, აუნთო სიყვარული მამულისა და აამაღლა იმ ზომამდე, როცა თავ-განწირვა და თავ-დადება ნეტარებად მიაჩნია ადამიანს... ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმე მაგრე სადა არ არის და კიდეც განახვევთ, რომ გამგეობას მეტად თული საბუთი აქვს, როდესაც რ შეაქვს ეგ ექვსასი თუმანი ხარჯთ-რიცხვაში. საქმე ის არის, ბა-ონებო, რომ ტფილისში სახაზი- მამულები **222** ნაჭრამდეა. ხა-ნა კანონით ვალდებულია გვა-იოს დასაფასებელი გადასახადი, გრამ აგერ თხუთმეტს წელზე მე-ია, რაც ხაზინა თითქმის არას იძ-ევა. **222** ნაჭერში მარტო **22**-მა დაიხადა ვალი, დანარჩენებზე თი-ქმის **200** ათასი მანათი გვაქვს ასა-ები. მიწერ-მოწერა და საჩივარი ილი ხანია გაჰმართა ქალაქის თვით-მართველობამ, მაგრამ დღემდის რას გავხდით. ჩვენცა გვმართებს 0 ათასი მანათი ხაზინისა. უნდა ოდეთ, რომ ეს ვალი თვით-მმარ-ველობამ-კი არ აილო, არამედ აილო მინისტრაციამ, როდესაც ჯერ ისევ ლიცია აწარმოებდა ქალაქის სა-ეებს, და ისიც დამხმარებელ თანხი-თვის აილო. ვთქვათ, კიდეც ვიკის-თ ეს ვალი და, როგორც პირიანმა ვალეებმა, გარდავწყვიტეთ: ვალს დახდა უნდა; მართალია, ხაზინასა მართებს ჩვენი ფული და არღვევს ონს, როდესაც არ გვაძლევს, მა-რამ ჩვენ ასე ნუ დავარღვევთ კა-ონს, ჩვენ გადავიხადოთ ჩვენი ვა-ლი. მაგრამ ეს რას ეგვანება. ხა-ნასა ჰმართებს ჩვენი **200** ათასი ნათი, ჩვენ-კი მხოლოდ **50** ათასი ნათი, და ბ-ნ ივანენკოს მაინც სა-ცხვინო ყოფად მიაჩნია ქალაქის ოფა, როდესაც ხაზინავე კანონის წინააღმდეგ გვიჭერს ფულსა და გვი-ვალშია! მინამ საქმე არ გათა-დება, შეუძლებელია ხარჯთ-აღრიც-ვაში შევიტანოთ ეგ მუხლი.

ქალაქის თავმა სთხოვა საბჭოს: ისაც უნდა, რომ ხარჯთ-აღრიცხვა-ში შეტანილ იქმნას ინტენდანტსტვოს ერ დაჭერილი ფული, ვსთხოვ, რომ ადგე'ო, და ბ-ნ ივანენკოს მეტი არავინ ამდგარა.

მეორე საგანი, რომელმაც აგრეთვე დიდი ბაასი გამოიწვია, იყო მუშტაიდის ბაღის მორწყვა. მუშტაიდის ბაღი სახელმწიფოა და იჯარითა აქვს ბ-ნ ანდრონიკოვს, რომელიც ძალიან ცუდად ინახავს ბაღსა. ექიმმა ბაბოვმა წინადადება მისცა საბჭოს, რომ ქალაქის ხარჯით ირწყვებოდეს მუშტაიდიო. გამგეობა იმ აზრისაა, რომ ეს ბაღი ქალაქს გარდაეცეს და ამიტომ საბჭოს ურჩევნია სთხოვოს ხაზინასა: რადგან ბ-ნი ანდრონიკოვი საძაგლად ინახავს ამ ერთად-ერთს სასეირნო ბაღს ტფილისისას, ამიტომ გაუქმდეს იჯარა და ბაღი მიეცეს ქალაქს. თუ-კი ქალაქი შეუდგება ბაღის მორწყვას, მაშინ ეგ ბ-ნ ანდრონიკოვს არგებს და ქალაქიც უფრო ძნელად-ღა დაინარჩუნებს მუშტაიდსა.

საბჭომ გარდასწყვიტა ხმის უმეტესობით, რომ ქალაქმა კვლავ განაახლოს საგანი მუშტაიდის აღებისა და იჯარის გაუქმებისაო. ხმის უმეტესობითვე საბჭომ დაადგინა საქალაქო სასწავლებლებისათვის ექიმების დაქირავება.

# უცხოეთი

**გერმანია.** იმ კვირის ინგლისის დედოფალი ვიქტორია მიბრძანდა შარლოტენბურგსა, სადა იმყოფება იმისი ავადმყოფი სიძე, იმპერატორი გერმანიისა ფრიდრიხი. რკინის გზის სადგურზე თითქმის არავინ არ დახვედრია, სამეფო სახლეულობის წევრთა გარდა. საზოგადოდ ბერლინელებმა ძალიან გულცივად მიიღეს ინგლისის დედოფალი. არც ხალხი მიეგება, არც ბაირაღები სჩანდა სადმე, არც ყვირილი და ღრიანცელი ისმოდა სიხარულისა და თანაგრძნობისა.

ვიქტორიამ მისვლის უმალვე ინახულა ავადმყოფი იმპერატორი, რომელიც ფეხზე წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მიეგება თავის სიდედრსა. დედოფალს ვიქტორიას ძალიან გაეხარდა, რომ ჩემი ავადმყოფი სიძე არც ისე საშინლად დასნეულებული ყოფილა, როგორც მეგონაო.

საზოგადოდ იმპერატორი თან-და-თან უკეთ არის. ციებამ გაუარა, მადაზედად თან-და-თან მოდის. ლოგინად აღარ არის ჩავარდნილი და მომეტებულ ნაწილად დივანზედა ჰზის. მკურნალი მაკენზი წერილებსა სწერს გაზეთში, რომ ტყუილია ის ხმები, ვითომ იმპერატორს სასიკვდილო უჭირდეს რამეო. იმპერატრიცა ვიქტორიამ გამოუცხადა იუსტიციის მინისტრს თავისი დიდი მწუხარება, რომ გაზეთები ასეთის გმობით და კიცხვით იხსენიებენ მკურნალს მაკენზისაო. თავადმა ბისმარკმა ინახულა იმპერატრიცა და შემდეგ აუდიენცია ჰქონდა თვით იმპერატორთანაც.

იმპერატორს ამ დღეებში, როცა ტკივილები ჰქონია, ასეთი ბარათი დაუწერია თავის შვილისათვის გარდასაცემად: «მხოლოდ ერთი რამ შემიძლიან გასწავლო: თუ გინდა ბრძენი და ბედნიერი კაცი იყო, მდუმარებით მოითმინე ტანჯვა-მწუხარებაო».

იმპერატორმა ფრიდრიხმა დანიშნა თავადი პონინსკი პრუსიის დიდებულთა პალატის წევრად, გრაფობა უბოძა ბოლესლავ პატოცკის, ანტონ ტანაბოვსკის და ვლადისლავ ლაცკის. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ფრიდრიხი პოლონელებს წყალობის თვალით უცქერისო.

**ავსტრი-ვენგრია.** ვიდრე ბერლინში მივიდოდა ინგლისის დედოფალი, გზაში ინახულა ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსები და თითქმის ერთს საათზე მეტი იბაასეს ერთმანეთში. გაზეთებმა ყურები სცქვიტეს, — აქ უთუოდ საპოლიტიკო ამბავიაო. ავსტრი-ვენგრიელებს როგორღაც თვალი უჭირავთ ინგლისისაკენ და უნდათ სალისბერი მიიმხრონ, რომ იმასთან ერთად გაუმკლავდნენ მტერსა, ვინიცობაა ომი ასტყდა და საომარმა მზადებამ ტყუილად არ ჩაუაროთ. ჩაიყოლიებენ — თუ არა ავსტრი-ვენგრიელები ინგლისს ამ ომში, ღმერთმა უწყის, მაგრამ ის-კი უნდა ვსთქვათ, რომ სალისბერი, თუ მართლა ავსტრიას მისცა მხარი, გერმანიას გადიკიდებს, რადგან მარტო გერმანიას უნდა მფარველობას უწევდეს ავსტრი-ვენგრიას და უიმისოდ არას აკეთებდეს.

— ვენგრიელები როგორღაც ვერა რიგდებიან ავსტრიელებთან, თუმცა მშურად არიან გაყოფილნი: ავსტრიას თავისი სამინისტრო ჰყავს და ვენგრიას თავისი. ახლა ვენგრიელები ამას არა სჯერდებიან, უნდათ, რომ ჯარიც სანაწევროდ ჰყავდეთ და ავსტრი-ვენგრიის ჯარს მარტო ავსტრიის იმპერატორის სახელი არ ეწოდებოდეს. «როგორ იქნებაო, — ამბობს ვენგრების გაზეთი «Ellenzek»-ი, რომელმაც დიდი დავიდარაბა ასტეხა ამის გამო, — როგორ იქნებაო, რომ ჩვენი საერთო ჯარი მარტო ავსტრიელების ხელშია? ერთს მშვენიერს დღეს ავსტრიელებს შეუძლიანთ მხედრობის ძალით პირ-ქვე დაამხონ ჩვენი კონსტიტუცია და ვენგრები მაშინ სრულიად მშრალზე დავრჩებით. ესლანდელის წესით დარაზმული და დაწყობილი ჯარი საშინელი იარაღია ავსტრიელების ხელში, მახვილია, პირდაპირ ვენგრიის ერის საწინააღმდეგოდ მოქნეული, დაწესებულებასა, სავსე მეფებითა ჩვენდა მომართ. ამ ჯარში ჩვენებურს, ვენგრულს ენას ყურადღებას არ აქცევენ, აფიცრებს ნაძანები აქვთ მუდამ გერმანულად ილაპარაკონ, თუნდა ვერმო ლაპარაკიცა ჰქონდეთ. ამას გარდა მალა და უფლება მხედრობის თვალში სამხედრო სამინისტროს-კი არა აქვს, არამედ მთავრობის ინსპექტორებს, რომელნიც პირდაპირ ექვემდებარებიან იმპერატორს ფრანც-იოსებსა. მომეტებული ნაწილი ამ ინსპექტორებისაცა სულ სამეფო სახლეულობის წევრნი არიან — ერც-ჰერცოგები და სამეფო სახლეულობის ინტერესებსაც მისდევენო. მაშასადამე, დროა ვიზრუნოთ, რომ ეს საფრთხე თავიდამ ავიცილოთ და, დღევანდელის წესის მაგიერ, გავაჩინოთ საკუთრად ვენგრიის მხედრობა, რომელიც პირდაპირ პეშტის ანუ ვენგრიის სამინისტროს ექვემდებარებოდეს და იმის ბრძანებათა მორჩილი იყოსო».

— ავსტრიის რეიხსრატში დიდი აღიაქოთი აუტეხნია დეპუტატს ლიუგერს. ლიუგერს უთქვამს საიდუმლო ფულების შესახებ, რომ მე ამ საქმეში გრაფ ტააფეს მომხრე ვარო. ლიუგერი გმობითა და კიცხვით იხსენიებდა გერმანელ-საკონსტიტუციო დასსა. ეს დასი მოთმინებიდამ გამოვიდა, გაბრაზდა და სულ იფურთხებოდა. ლიუგერმა უარესად დაიწყო ლაპარაკი: ოპოზიცია ჭკუას იხრის, კუდს იქნევსო და მინისტრობის ადგილებზე უჭირავს ჩუმად თვალიო; არა-პირდაპირის გზიდამ დადის სამინისტროში და ამ უკადრისის საქციელით თავის საქმეებს იკეთებსო. ასეთმა მართლა ბრიყულმა და უკადრისმა ლაპარაკმა საშინელი მღელვარება გამოიწვია რეიხსრატში. მემარცხენენი წამოხტნენ ფეხზე და დაიწყეს ყვირილი: „ეგ რა სთქვა, მაგ უსირცხვილომ? ეგ ხომ ტყუილია, უკადრისი ცილის-წამებაა! შეარცხვინეთ, შეაფურთხეთ, მაგ ურცხვს, განდევნეთ! აბა, ვინ, ვინ რა მიიღო ჩვენგანმა? აბა დაგვისახელოს, დაგვიმტკიცოსო“! ლიუგერს კიდევ უნდოდა განეგრძო ლაპარაკი, მაგრამ ისეთი ყვირილი და ღრიანცელი ასტყდა, რომ უნებურად უნდა გაჩუმებულიყო. მღვდლოჩხმა გრეგერმა მუშტი მოიღერა და დაიწყო ყვირილი ლიუგერის შესახებ: „ეგ ლიუგერი არცხვენს დემოკრატიას, რომელშიაც ჩაუწერია თავის თავიო!“ თქვენი აქ ყოფნა სირცხვილით აწითლებს და სწვავს პალატასაო!» შეიქმნა საერთო ყვირილი: «აი ეგ ცილის დამწამებელი, საძაგელი მატყუარა, ურცხვი, უნამუსოვო!»

---

მა ერთ-ხმად შესძახა პასუხად თა-ის სახელოვანს გმირს ბატონს:

— «გავწყდეთ, ერთიანად გავწყდეთ. დედა შეერთოს ცოლად, ვინც გან უსიკვდილოდ დამარცხებული ვიდეს!»

მ დროს ჭენებით მოფრინდა ან-ონ აქიმბაშიცა და მოახსენა მეფეს:

— ჩემო ხელმწიფევ, ბატონიშვილი ორგი იქიდგან ვერ დავძარი.

ამ გვარად მტრის სიმრავლისაგან შინებულმა, ან თუ სხვა რამ მიზე-გამო, გიორგი ბატონიშვილმა ამ ად გაჭირვებულსა და საშინელს მსა მამას თავის დროზე ჯარი არ შველა. მეფე ირაკლის, შვილის წყობის მაგივრად, პასუხად ცივი ი მოუვიდა. მეფის ბძანება დარ- შეუსრულებელი. ამ გარემოებით ად აღელვებულმა ირაკლიმ არ ოდა, რა ექნა.

— ღმერთო დიდებულო, საქართველ-ს დამცველოვო, — ამას-ღა ჰფი-ობდა გულში დიდ-სულოვანი მე-: — შენ იხსენ განსაცდელისაგან თველები!..

მტრის ჯარი თან-და-თან გათამამ-, ახალ-ახალი დასტები მოემატა... არჯვების სასწორმა თითქო იმათ-გადიწია... დადგა ზარ-დამცემი ი ქართველთათვის... ირაკლი იმ გომარეობაში ჩავარდა, რომელსაც ამიანის ბუნების მცოდნენი «ზნე-რივ ციებ-ცხელებას უწოდებენ»...

აგერ მეფე ირაკლი საშინელის გულის ძგერით და არა უბრალო მამაკვდავის სახით, რომელსაც «კაცისაგან არა დაეგვარება-რა», — გასცქერის ერთ შავად მოარულს წერტილსა... ირაკლის არწივისებურმა თვალებმა მალე იცნა, რა ძალაც იყო ეს შავად მოარული წერტილი... ის იყო ლეკების სახელ-განთქმული ბელადი კოხტა, რომელიც ჭენებით მოაქროლებდა ცხენსა და რომელსაც თან მოსდევდა გათამამებული და ხმალ-ამოღებული ლეკთა ჯარი. ამ სიკვდილ-სიცოცხლის წამს ირაკლიმ იგრძნო თავისი დიდი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. სისწრაფით წინ გამოხტა მარდსა და წითელს ტაიჭზე მჯდარი გმირი და მიზანში ამოიღო კოხტა ბელადი... კოხტას სიცოცხლე ძაფზედ ჩამოეკიდა და გაიწონა სასწორზე. საკვირველს მეთოფურს ირაკლი კახთ-ბატონს აქაც არ უმტყუნა გამოცდილმა ხელმა და გაწვრთნილმა თვალთა ხედვამა. იჭექა თოფმა და იმის გრიალს ბანი მისცა მტკვრის-ხეობამ. ზარი სიკვდილისა თან მოჰყვა თოფის გრიალს. კოხტას ბედი გაშავდა და იმისი მზე დაბნელდა საუკუნოდ. ამის მნახველს ლეკთა ჯარს და ოსმალთ რაზმებს თავ-ზარი დაეცა: მტერი შიშმა შეიპყრო, ჯარი უსარდლოდ და უთავოდ დარჩა. გაქანებულს ადამიანს რომ თავი მოულოდნელად მოჰკვეთოთ, იმისი სხეული, ინერციის კანონის ძალით, ცოტას კიდევ გაირბენს, შემდეგ ერთბაშად შეჩერდება და კანკალ-ცახცახით ძირს დაეცემა, შინაგან ძალას მოკლებული. სწორედ ასე მოუვიდა ოსმალ-ლეკის ჯარსაც, როცა მეფე ირაკლიმ მოუკლა წარჩინებული სარდალი კოხტა ბელადი. გათამამებულსა და გამხნევებულს ლეკის ჯარს მოაკლდა უფროსი მხედართ-მთავარი, ჯარი დარჩა უთავოდ. მტრის ჯარი შედრკა, დაუძლურდა და დამფრთხალი და თავზარ-დაცემული აპირობდა გაბნევასა. აი სწორედ ამ დროს შესძახა ირაკლი მეფემ თავის ჯარს:

— ხმალი ამ წუნკალებს, ძმებოვო!

— ქართველებმა იშიშვლეს ხმლები და დაუშინეს ოსმალ-ლეკებსა, რომელთაც იბრუნეს პირი და მიჰმართეს ასპინძის, ანუ დოსთენის ხიდსა. ეს ხიდი, როგორც ვიცით, წინადვე იყო დანგრეული და ისარ-აყრილი. ამიტომ ბევრნი გაქცევის დროს ჩაცვივდნენ ადიდებულს მტკვარში და დაირჩნენ.

### V.

ასე სამაგალითოდ დაამარცხეს ქართველებმა მტერი. ასპინძის ომში ტყვედ 57 კაცი შეიპყრეს, ამათ შორის სამი კაცი ირაკლიმ რუსეთში გაჰგზავნა იმპერატრიცა ეკატერინა მეორესთან, იმ აზრით, რომ თუმცა ცილი დაგვწამეს, ჩვენ მაინც ჩვენს ერთგულებას არ დავიშლით რუსეთის წინაშეო. ამასთანავე მეფე ირაკლიმ ზაალ ორბელიანის პირით, რომელიც ელჩად გაჰგზავნეს რუსეთში **1770** წელს, 4 თიბათვეს, ეკატერინას შეუთვალა: «ისე საშინლად და ძლიერ დავამარცხეთ ოსმალები და იმდენი ტყვე ვიშოვეთ, რომ თქვენც მოგართვითო». ამ ტყვეთა შორის ორი იყო ოსმალი, გვარად ახალციხელი იზმაილ-აღა, მეორე ერზრუმელი რეჯებ-აღა და მესამე-კი იყო ლეკი სახელად ატა, შვილი გამოჩენილის სარდლის კოკისა, რომელიც ასპინძის ომში მოჰკლეს. რუსეთში აგრეთვე გაგზავნილ იქმნა ოც-და-ხუთი სხვა-და-სხვა ფერის ბაირაღი და დროშა და რამდენიმე ნადავლი თოფ-იარაღი. ამ ბრძოლაში კოხტა ბელადის გარდა მოკლულ იქმნენ სხვა სარდლებიც: ფაშები კულინისა, ხარცილისა, ოლთისა.

ირაკლი მეფის დროინდელთა აზრით, ქართველების დამარცხება ასპინძის ომში შეუძლებელი იყო, რადგან აქ იბრძოდნენ საქართველოს უკეთესნი შვილნი. განურჩევლად წოდებისა: ამ დაუვიწყარ გმირთა დაქცეულის სისხლით ქართველებმა შეისყიდეს ძლევა-მოსილი გამარჯვება. ბევრი ტურფა ვარდი და თაიგული მოაკლდა მაშინდელს ვაჟკაცთა კრებულსა და ახალგაზდობას, მაგრამ სამაგიეროდ თითოეულის გამოკლებულის სახელი უჭკნობელის ვარდის გვირგვინით შეამკო მაშინდელმა საქართველომ და, ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ დღევანდელს აღარ ახსოვს არც იმ ომში თავ-დადებულნი და არც ძლეულნი და გამარჯვებულნი.

ალ. გარსევანიშვილი

მოსკოვი

---

ეს ბრძოლა აღწერილია მაშინდელთა კაცთა მიერ. ზაალ ბარათაშვილი, ირაკლის მდივან-ბეგი, რომელიც განუშორებლად მეფესთან იყო, მოგვითხრობს ამ ომის ამბავს... ის, რაც მოხდა გიორგი ბატონიშვილის მხარეზე, აგვიწერა ელიზბარ ფალანდიშვილმა, რომელიც გიორგის გვერდით ახლდა. ამ ორთა მოთხრობა მოხსენებულია ალ. ორბელიანის წერილში, სახელად: «ასპინძის ომი». ამათ გარდა ზაალ ორბელიანი, საქართველოს ელჩად გაგზავნილი რუსეთში 4 თიბათვეს 1770 წ., აგვიწერს ამ ბრძოლას, მხოლოდ გულ-წრფელად აღვიარებს, რომ დაწვრილებით ეს ამბავი არ მახსოვსო. მაინც, ჩემის აზრით, დავით ორბელიანის აღწერაშივე ნათლად წარმოგვიდგება სქემა ომის სურათისა. ეჭვი არ არის, რომ ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმ აღწერასაც, რომელიც მდივანს რომან ხერხეულიძეს დაუწერია და რომელიც მოთავსებულია „ქართლის ცხოვრების“ II-რე ნაწილში (491—492 გვ.). ზოგიერთ ცნობებს ამ ომის შესახებ ვპოულობთ აგრეთვე დავით და ვახტანგ ბატონიშვილების „საქართველოს მოკლე ისტორიაში“.

ალ. გ—შვილი

## წვრილი ამბები

თითქმის ყველა ქვეყნებში ამ ჟამად ჯარსა ჰკრეფავენ, ზურგს იმაგრებენ, ადრევე თადარიგში არიან, თუ ვინიცობაა მოხდეს რამეო. ხოლო რადგან ქვეყნის დასაცველად ყოველივე ღონე უნდა იხმარონ, რაც-კი მოეძევებათ თვით დასაცველ ქვეყანაში, და ამას გარდა რაც შეიძლება კარგად მოეწყვნენ და მოემზადნენ, ამიტომ ჯარში ამას იქით იქნებიან სამხედრო ძაღლები, ფოსტის ტრედები, ველოსიპედის მხმარებელნი და სხვანი. ამ ჟამად თუ ვინიცობაა რომელიმე იტალიის ჯარის-კაცი მასუახში თავის ჯარს მოჰშორდება, თან მიჰყავს რამდენიმე ფოსტის მტრედი და ამ გვარად ჯართან დამოკიდებულება არა აქვს შეწყვეტილი.

წარსულს სექტემბერს საფრანგეთის მე-9 არმიის კორპუსის აღლუმებზე თავი გამოიჩინეს ველოსიპედზე მსხდომარეთა. ეხლა რიგი სამხედრო ძაღლებსაც დაუდგათ. წარსულს კვირას პორუჩიკს ჟიუპენს გამოუცდია ეს ძაღლები იმ დროს, როცა ტურიდგან მონლუიში მიდენილა. ეს ოფიცერი აგერ მეოთხე წელიწადია რაც ძაღლებსა სწვრთვნის და მეტად საინტერესო წიგნიც დასწერა ამ საგნის შესახებ: «სამხედრო ძაღლები საფრანგეთის ჯარში». ჯერ აგერ სულ ორი-სამი დღე არ იქნება, რაც ოც-და-ათი ძაღლი მე-55 რაზმში დაინიშნა. ძაღლებს გაკეთებული აქვთ ორი ტყავის აბგა, ქამარზედ მაგრად მიმაგრებული; ამ აბგებით სხვა-და-სხვა ჯარის შესახები ქაღალდები იგზავნება აქეთ-იქით. ყოველთვის, როცა მე-55 რაზმი ქალაქიდგან მიდის სადმე, ძაღლები ნაღარის დამკვრელს მისდევენ უკან. რომ შეაჩვიონ ჯარს ძაღლები, მოაშორებენ ხოლმე კარგა მანძილზე და ბოლოს თავს დაანებებენ, ძაღლები თითონვე ჰპოულობენ თავიანთ ალაგს და ფეხ-და-ფეხ მისდევენ ჯარსა.

ბ-ნი ჟიუპენი თავის წიგნში ამბობს, რომ სამხედრო ძაღლები ბერძნებსა და რომაელებსაცა ჰყვანდათო; რომაელები ძაღლებს ციხეების დასაცველად აყენებდნენ, კაპიტოლიის ბატების მაგიერო. გერკულანუმში ამოსთხარეს ქანდაკება: შეიარაღებული ძაღლები იყვნენ გამოქანდაკებულნი და ბარბაროსებს ებრძოდნენ. ძალიან განთქმულნი იყვნენ ქრისტეფორე კოლუმბის ძაღლები. ოსმალეთის ჯარის ძაღლებმა 1778 წელს გააქციეს ავსტრიის ჯარის-კაცნი. ამბობენ, რომ აუსტერლიცთან ბრძოლის დროს ძაღლმა „მუსტაშმა“ გადაარჩინა დროშა, რომელიც მედროშეს გავარდა ხელიდგან, დაიჭირა კბილებში და საფრანგეთის ჯარისაკენ წაიღოვო. პორუჩიკი ჟიუპენი ირწმუნება, რომ «მუსტაშმა» თავის სიმამაცისათვის ორდენი მიიღო მარშალ ლანნერისაგანაო.

ეხლა ჯარის წინა ადგილებში სამსახური უფრო ძნელია, ვიდრე ადრე იყო; ამ ადგილებზე ჰნიშნავენ ასალგაზდა ჯარის-კაცთა და ნებას აძლევენ, რომ ძაღლების სამსახური გამოიყენონ. ძაღლებს მხოლოდ ცალის თვალითა სძინავთ და სულ უბრალო ხმაურობაზე ფეხზედა დგებიან. ჟიუპენი ამბობს, რომ ძაღლები ბრძოლის დროს ჯარში სანოვაგის ტარებასაც შეიძლებენო. ტურში გამოუცდიათ, თუ ვინ უფრო ჩქარა დაარიგებს საჭირო კორრესპონდენციასა: ცხენოსანი, მეველოსიპედე, თუ ძაღლიო. სასიარულო მანძილად 6 ვერსამდე გზა იყო დაუნიშნამთ. ეს გზა ძაღლებმა 13 წუთსა და 55 წამს გაირბინეს თურმე; ცხენოსნებმა — 24 წუთსა და მეველოსიპედეთ — 13 წუთს და 49 წამს. პირველში ძაღლებმა გაუსწრეს ყველას, მაგრამ შემდეგ შესდგნენ და წყლის სმა დაიწყეს, თორემ არ ჩამორჩებოდნენ უკან მეველოსიპედეთა.

— საფრანგეთში მცხოვრებელთა რიცხვი თან-და-თან კლებულობს. ამ მოვლენას ქალებს ვერ დავამიზეზებთ, რადგან დიდძალნი ქალნი თხოვდებიან თურმე საფრანგეთში სხვა ქვეყნებთან შედარებით. საფრანგეთში 15 წლიდგან 50 წლოვან 100 ქალზე 55 ქალი ქმრიანია, ინგლისში — 52, გერმანიაში — 51, ბელგიაში — 44. ხოლო ნაყოფიერებით საფრანგეთი ყველა ზემოხსენებულს ქალაქს ჩამორჩება.

— 5 იანვარს შუა-გულ ნორვეგიაში, ელვერუმში, ნაცრის წვიმა მოსულა. ამბობენ, რომ ეს მოვლენა ისლანდიის ცეცხლის მფრქვეველ მთებს უნდა მიეწეროსო.

— პოზნანის ერთს უმცირეს ადგილში სცხოვრობს ვიღაც გოტნიარკი, რომელიც 1764 წელს დაბადებულა და ეხლა 124 წლისაა.

— პარიჟის გაზეთები ამბობენ, რომ სტამბოლში აღმოუჩენიათ სომეხთა საიდუმლო კომიტეტი, რომელსაც ინგლისის ელჩი ჰმფარველობდაო. ეს კომიტეტი სცდილობდა თურმე, რომ სომხეთი ოსმალეთის ბატონობისაგან გაენთავისუფლებინა. სულთანი ძალიან უკმაყოფილოა ინგლისელებზე, მით უმეტეს, რომ დიდმა ვეზირმა ქიამილ-ფაშამ სახელი გაიტეხა ინგლისის ელჩთან მეგობრობითა.

— ათინის სახაზინოდგან ხუთი მილიონი დაკარგულა. საფინანსო ანგარიშებში ეს ფული ნაჩვენები არ არის თურმე.

— ნიუ-იორკის მთავრობას 87 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 8-სა მიუღია კანონ-პროექტი, რომ ჩამოსარჩობი დამნაშავენი ელექტრონის საშუალებით დაისაჯნენო. ამიერიდგან გაზეთებს აეკრძალებათ, რომ სიკვდილით დასჯის ანგარიში ჰბეჭდონ ხოლმე.

## დეპეშა

19 აპრილი

პეტერბურგი. დღეს მოვიდა პეტერბურგში რუსეთის ელჩი რომისა, ბარონ ისკიული.

რევ ლი. თოში ყინული გემებს სიარულს არ უშლის და ამიტომ შეიძლება ვსთქვათ, რომ ნავოსნობა დაწყებულიაო.

პარიჟი. იზერის დეპარტამენტში არჩევანების დროს ბულანჟეს ამოუვიდა 1,600 ხმა, წინააღმდეგ 20,000-სა.

პეტერბურგის ბირჟა 15 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — ,, | — ,, | 9 66 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 192 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . | — ,, | — ,, | 1 40 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | 269 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 243¾ |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 98 ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | 98 ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — ,, | 83½ | — ,, |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ 7336.

ძველი ინდიქტიონი მე 14, ამისა ქორონიკონი — უპ = 480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე 4, ამისი ქორონიკონი — მდ = 44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია — 25.

აპრილი 30 დღით არის

20 დღე ოთხშაბათი. ღირსისა ანასტასიასი და თევდორესი. კათოლ. აგნესასი. სომეხ. დიდი ოთხშაბათი. სოდომისა და გომორის დაქცევის მოგონება. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—55, ჩადის 6—59. მთვარე 22 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 აპრილიდამ 1 მაისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | 3 | » |
| 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2 » | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | » |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | » |
| მე-3 — . . . | » | » |
| ძროხის ხორცი . . . | 9 | » |
| » 2 » | 8 | » |
| სუკი . . . . | 16 | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით — დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ვნათ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## განცხადებანი

გამგე კომიტეტი „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ უმორჩილესადა სთხოვს წესდების ძალით (პარაგრაფი მე-7) ბ-ნთ საპატიო და ნამდვილ წევრთა ამა საზოგადოებისა, რომ მობრძანდნენ წლიურს ჩვეულებრივს საზოგადო კრებაზედ ამა 1888 წლის 16 მაისს, დილის ათს საათზედ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში.

კრების განსახილველნი საგანნი არიან შემდეგნი:

1) გამგე კომიტეტის მოხსენება შესახებ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა;

2) მომავალის სამოსწავლო წლის ხარჯი.

შენიშვნა: 1881 წელს გამოცემულის წესდების ძალით, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის დამფუძნებელნი არიან ნამდვილნი წევრნი ამა საზოგადოებისა და, მაშასადამე, ნება აქვთ მიიღონ მონაწილეობა ზემოხსენებულ საგნების განხილვაში. (3—1)

დავაწყვეთ გასაყიდა
სრულიად უშიშარის
შვედურის საჩქეებისა,
რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქარხანა

გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº.
ვერაზე, ტფილისის ქალაქში.
(50—45)

ქუთაისში
მ. ი. ნიკოლაძის

მაღაზიაში მიღებულია და ისყიდება დიდ-ძალი აბრეშუმის სა... და ბლონდები, აგრეთვე ნაკერ... ჩიქილები აბრეშუმისა და ბამბ... ძაფებით და დაბასმულ[...] ბიცა.

(10—9)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109,110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შემ... ნილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სწორმეტყველება სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . | » | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | ,, | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა. . . . . | ,, | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა. . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა გიორგი წერეთლისა მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძე. . . | ,, | 20 |
| ოტელო შექსპირის ტრაგედია ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . | ,, | 50 |
| ჩატეხილი ხიდი შენიშვნები «ოთარაანთ ქვრივზე» . . | ,, | 15 |

## კანცელარია და წიგნთ-საწყობი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა გადავიდა ახალს სადგურში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მომართული. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სახელმძღვანელოები. ვინც ქალაქს გარედ წიგნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. კანცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება გარდა კვირა-უქმეებისა დილის 9 საათიდა საღამოს 8 საათამდე. ვისაც კანცელარიასთან, ან წიგნის-საწყობთან რაიმე საქმე ექმნება, ამ ადრესით უნდა მოჰმართონ: Тифлисъ. Въ канцелярію (ან книжный складъ) Общества распространенія грамотности Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110. (50—16)

### ბიბლიო-გრაფიული განცხადება

სტამბიდგან გამოვიდა და ისყიდება ახალი სახელმძღვანელო რუსულის ენისა, „РУССКОЕ СЛОВО“, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. წიგნი იპყრობს ექვსს განყოფილებას: ლექსიურსა, რუსულს ანბანს სურათებზედ დამყარებულს, თვალ-საჩინო გაკვეთილებს სხვა-და-სხვა სავარჯიშოებით რუსულს ენაში, პირველს საკითხავს წიგნსა, სარწმუნოებრივს განყოფილებას და ლექსიკონს, რომელშიაც განმარტებულია ყოველი სიტყვა, ხმარებული წიგნში. ფასი წიგნისა ათი შაურია, მაგრამ ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ოცის ცალისას, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურად, ხოლო ვინც წაიღებს არა ნაკლებ ორმოც-და-ათის ცალისას, მიეცემა ორი აბაზად. წიგნი ისყიდება გამომცემლის გრიქუროვის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან, ზუბალოვის სახლებში. (5—5)

Доз. ценз. Тиф., 18 Апрѣля 1888 г., Типографія А. А. Михельсона. Гол. просп., д. № 12. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე